ხელშეკრულება N 160

13 დეკემბერი 2018 წელი

ქ.ხაშური

ერთი მხრივ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **შპს ხაშურის სტამბა დირექტორის თამარ ჩადუნელის სახით** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
   ხელშეკრულების საგანია: პრინტერის კარტრიჯების შესყიდვა ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრისათვის;

	დასახელება	CPV	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
1	პრინტერის კარტრიჯი	30237310	ცალი	2	20.00	40.00
						სულ: 40.00

(შემდგომში მომსახურება), მიწოდება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება
   ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 40.00 (ორმოცი) ლარი;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
   3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ორგანიზაციის სუბსიდიების მუხლიდან;
   3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე, 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი
   4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე
   4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი
   5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური
   5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2018 წლის 14 დეკემბერს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:
   6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
   6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
   6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.
   6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 14 იანვრამდე;

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხაშურის კულტურის და ბავშვთა	შპს ხაშურის სტამბა
და მოზარდთა შემოქმედებითი	
განვითარების ცენტრების გაერთიანება	
ხაშური, რუსთაველის მე-2 ჩ. შესახვევი	ხაშური, ტაბიძის ქ. 2
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070	საიდენტეიფიკაციო კოდი 243854361
ბანკის კოდიTRESGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE55BG0000000121379800
გაერთიანების დირექტორი	დირექტორი
გიორგი ბოლოკაძე	თამარ ჩადუნელი

მიღება-ჩაბარების აქტი N160

ქ.ხაშური 2018 წლის 14 დეკემბერი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ შპს ხაშურის სტამბა, წარმდოგენილი დირექტორის თამარ ჩადუნელის სახით წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2018 წლის 13 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება N160-ის საფუძველზე, მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა 40.00 (ორმოცი) ლარის ღირებულების პრინტერის კარტრიჯები ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრისათვის;

	დასახელება	CPV	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
1	პრინტერის კარტრიჯი	30237310	ცალი	1	20.00	20.00
						სულ: 20.00

აქტს ხელს ვაწერთ და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გაგვაჩნია:

მიიღო

გიორგი ბოლოკაძე

ჩააბარა

თამარ ჩადუნელი